



წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი
განვითარების დოკუმენტი
(2020 - 2023)

2019 წელი



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK**

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN DEVELOPMENT
COOPERATION**



Empowered lives.
Resilient nations.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის „(UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.



სარჩევი

წინასიტყვაობა	1
1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.....	5
2. სიტუაციის ანალიზი	8

2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.....	8
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	10
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....	15
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	18
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი	19
2.6 გარემოს დაცვა	21
2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა	23
3. SWOT ანალიზი	25
4. განხორციელების მექანიზმი.....	27
5. მონიტორინგი და შეფასება	40
დანართი	42

წინასიტყვაობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, მათ შორის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

დოკუმენტის შედგენის დროს გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობა შესაბამისი მექანიზმების გამოძებნით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესის წინსვლას. ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი მიზანია პარტნიორებთან (კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) ურთიერთთანამშრომლობა, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიზნეს გარემო და ამგვარად შეიქმნას ხელშემწყობი პირობები კერძო სექტორის მიერ მართული ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების გაზრდისათვის, რაც ერთნაირად მოუტანს სარგებელს მთელს საზოგადოებას ადგილობრივი თუ ეროვნული მასშტაბით. მართალია მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე ინსტიტუტი, რომლის ფარგლებში ბიზნესის წარმომადგენლები შეძლებდნენ ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთთანამშრომლობას, მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზაობას ითანამშრომლოს კერძო და სამოქალაქო საზოგადოებასთან და ყველა დაინტერესებულ პირთან, თუმცა პრობლემა, რომელიც კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის დროს გამოიკვეთა, აღმოჩნდა ეფექტური საკომუნიკაციო არხების არარსებობა და თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე კერძო სექტორის მხრიდან, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის მიერ და ერთობლიობით, დანერგული დიალოგებით, ურთიერთშეხვედრებით ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის საერთო საქმის მიღწევას, როგორცაა ეკონომიკური განვითარება. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე კერძო სექტორის შესახებ ინფორმაციის სიმწირე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ვერ ხდება სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების დროული მისვლა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების წინაპირობაა, ამავდროულად ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისების უზრუნველყოფით. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არ არსებობს გადამზადების სასწავლო ცენტრები, პროგრამები, განსაკუთრებით, ბიზნეს უნარ-ჩვევებში, ვიწრო სპეციალობებში, არ არსებობს დასაქმების უნარების შექმნის საგანმანათლებლო რესურსი. ტურიზმის განვითარება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია, თუმცა ამ კუთხით კვალიფიციური კადრების დეფიციტია. დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ასევე, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მწვავე საკითხად დგას მიგრაციის (გარე და შიდა) პროცესი, ადამიანური რესურსების გადინება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან, ამავდროულად, არასაკმარისია სათანადო პროფესიული განათლების მქონე ადგილობრივი სამუშაო ძალა იმ ადგილების შესავსებად, რომლებსაც პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. უმუშევართა დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების შესაძლებლობის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების შრომის ბაზარზე, მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე, დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოთხოვნადი პროფესიის კადრების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება, უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის სრულფასოვან ჩართულობას ინკლუზიურ ზრდაში და შეჩერდება კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტიდან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა ცენტრი, შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს კადრების გადამზადება ამ კუთხით.

შემუშავების პროცესი მუნიციპალიტეტის მერის მიერ სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ბიზნესის წარმომადგენლის, სამოქალაქო საზოგადოებისა, ახალგაზრდების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებისგან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან. სამუშაო ჯგუფის ამოცანებია:

- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა;

- პრიორიტეტების ან/და პრობლემების გამოვლენა;
- განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას.
- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის თვალსაზრისით გამოწვევებისა და შესაძლო ეფექტიანი მექანიზმის გამოვლენა.

ამოცანების განხორციელების მიზნით დაევალა სამუშაო ჯგუფს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების ფარგლებში ორგანიზება გაუწია სამუშაო შეხვედრებისთვის, რის შედეგადაც მომზადდა განსახილველი საკითხების დღის წესრიგი, გამართა შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან. გაცემული კონსულტაციებისა და ხმათა უმრავლესობით ჩამოყალიბდა SWOT ანალიზი, საერთო ხედვა, სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმა.

მუნიციპალიტეტში თვეში ორჯერ იმართებოდა სამუშაო შეხვედრა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯგუფის ლიდერი. შეხვედრებისა და საერთო ანალიზის გაზიარების საფუძველზე გამოვლინდა ეკონომიკური განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვა, მთავარი მიზნები, რომლის განხორციელებით მიიღწევა საერთო ხედვა, ის ქმედებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საერთო ხედვის მიზნების განხორციელებას.

სტრატეგიული დოკუმენტის შედგენის პროცესში აქტიურად იყო ჩართული კერძო სექტორი, კერძოდ, სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლები, მსხვილი და მცირე მეწარმეები, სასტუმროების მფლობელები, სხვადასხვა საზოგადოებრივი და სამოქალაქო ორგანიზაციები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი წარმომადგენლები, ადგილობრივი რესურს ცენტრის წარმომადგენელი, ადგილობრივი ტურიზმის ცენტრის წარმომადგენელი და პედაგოგები, მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საბანკო სექტორის წარმომადგენლები, დაინტერესებული მოსახლეობა და ახალგაზრდები.

გარდა წინასწარ დაგეგმილი და უშუალო შეხვედრებისა, მომზადდა კითხვარი, რომელიც მასობრივად გავრცელდა ბიზნეს წრეებში, სამოქალაქო საზოგადოებებში, სტუდენტ-ახალგაზრდებში, გავრცელდა სოციალურ ქსელებში. ამ კითხვარით შესაძლებელი გახდა სამოქალაქო აზრის, შეხედულებების, საჭიროებების, იდეებისა და სურვილების დადგენა, შესწავლა, ანალიზი, რომლის გაზიარება მოხდა სტრატეგიული დოკუმენტის შედგენის დროს.

დოკუმენტის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას: ინფორმაციის მოძიება-ანალიზი, მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა, მოსახლეობის გამოკითხვა ანკეტირების საშუალებით, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული ფორმა აღმოჩნდა მხარეთა შორის გამართული დიალოგი და ამ დიალოგის საფუძველზე მხარეთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება. ერთობლიობაში განხორციელებული მთელი რიგი განხილვების დროს

გამოიკვეთა არსებული პოტენციალის გამოყენებისა და გამოწვევების დაძლევის კონცეფცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, მთავარი მიზნები და მთავარი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მუნიციპალიტეტმა განსაზღვრა საშუალოვადიანი ხედვა შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით. მათი განხორციელების საფუძველზე აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საკუთარი ბიუჯეტიდან, ამასთან ღონისძიებების ნაწილი განხორციელდება სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორის თანამონაწილეობით. ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხედვა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არის ეკონომიკურად განვითარებული საერთაშორისო დონის სპა-კურორტი, მიმზიდველი ადგილით ცხოვრებისა და მუშაობისთვის, სადაც განვითარებულია მრავალფეროვანი ტურიზმი (ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი) და უზრუნველყოფილია ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მიზანი 1.	ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა.	
ამოცანა 1.1	კულტურული, დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება/კეთილმოწყობა;	
ამოცანა 1.2	ტურისტული სერვისების მრავალფეროვნების ხელშეწყობა;	
ამოცანა 1.3	ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აზრების მოწყობა;	
ამოცანა 1.4	მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;	
ამოცანა 1.5	ტურისტული ობიექტების, ადგილების ასახვა გუგლ რუკაზე.	
	შედეგი 1.	დაინტერესებულია ადგილობრივი მოსახლეობა ტურიზმის სექტორში უნარ-ჩვევების სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. გაუმჯობესებულია ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხი. გაზრდილია ტურისტების კმაყოფილების ხარისხი. ხელშეწყობილია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება. გაზრდილია მუნიციპალიტეტის პოპულარობა და ცნობადობა. გაზრდილია პოტენციური ინვესტორების ინფორმირება და დაინტერესება. ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შესახებ. ტურისტებმა შესაძლებელია ისარგებლონ მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურებებით. მოწყობილი და

	დამონტაჟებულია ტურისტული მიმართულების მანიშნებლები. მოწესრიგებულია ტურისტების და ვიზიტორების მოძრაობა.
მიზანი 2.	ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს განვითარება არსებული რესურსების მართვითა და ადგილობრივი საინვესტიციო შესაძლებლობების ხელშეწყობით.
ამოცანა 2.1	ბიზნეს საკონსულტაციო/საინფორმაციო ცენტრის შექმნა;
ამოცანა 2.2	კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
ამოცანა 2.3	მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა საინფორმაციო ბაზის შექმნით საინვესტიციო შესაძლებლობებზე;
ამოცანა 2.4	ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება;
შედეგი 2.	ინფორმირებულია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე. ინფორმირებულია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებების გასხვისების შესახებ გაზრდილია პოტენციური ინვესტიციების რაოდენობა. განვითარებულია სასოფლო ტურიზმი. გაზრდილია წარმოებული პროდუქციის ცნობადობა, გაზრდილია ადგილობრივი აგროპროდუქტებით გაყიდვით დაინტერესება. შეჩერებულია მოსახლეობის მიგრაციის პროცესი სოფლებში. მოზიდულია ტურისტები სოფლებად, დაინტერესებულია აგრო ტურიზმის განვითარების კუთხით ადგილობრივი მოსახლეობა და ამაღლებულია საზოგადოების ცნობიერება უნარ-ჩვევების სრულყოფისა და კვალიფიკაციის მიმართულებით. რეალიზებულია ადგილობრივი ნაწარმი. სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. გაზრდილია სოფლად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა.
მიზანი 3.	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა.
ამოცანა 3.1	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა.
ამოცანა 3.2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებით უზრუნველყოფა პროგრამული დაფინანსების გაზრდით.
შედეგი 3.	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალური დახმარება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობები. ნაწილობრივ გაუმჯობესებულია მათი ცხოვრების მდგომარეობა.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობებში მდებარეობს და იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი – 700,1 კმ². ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. წყალტუბო. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქვეყნის დედაქალაქთან შორის – 249 კმ-ია, ტრანსპორტირების დრო სამი საათია, მუნიციპალიტეტი 7 კმ-ითაა დაშორებული სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქთან ქუთაისთან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და უახლოეს ფოთის პორტს შორის – 98 კმ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა.

მუნიციპალიტეტის მდინარეების რაოდენობაა ოთხი: რიონი, გუბისწყალი, სემი და ყუმი. მათი საერთო სიგრძეა 152 კმ. აღნიშნული მდინარეებიდან რიონი, გუბისწყალი და ყუმი მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს წყლის დებეტს, ხოლო მდინარე სემში ხანგრძლივი გვალვების შემთხვევაში საგრძნობლად მცირდება წყლის დებეტი.

წყალტუბო იმ უიშვიათესი კურორტების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა დაგეგმარება და განაშენიანება მეცნიერულად დასაბუთებული, ორიგინალური გენერალური გეგმის მიხედვით განხორციელდა. აიგო 22 სანატორიუმი, მათგან არაერთი არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, ხელოვნურად გააშენეს 150-ზე მეტი განსხვავებული სახეობის ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეული კულტურა. სიმწვანეში ჩაეფლო მკურნალი წყაროები და 9 საბაზანო. ეს ყველაფერი გეგმის თანახმად ამფითეატრის ფორმით, „წრიულობის პრინციპით“ განლაგდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ქალაქი წყალტუბო - ადმინისტრაციული ცენტრი და 49 სოფელი, რომელთაგან ორი დაუსახლებელია. „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბერის №671 დადგენილებით განსაზღვრულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სტატუსის მქონე 10 დასახლება. მაღალმთიანი სოფლებიდან თითქმის ყველა სოფელი არის მეწყერსაშიში, რაც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით, რომელთაგან აღსანიშნავია თერმულ-რადონული წყლები. წყალი რბილი, კამკამა და უსუნოა, მისი ტემპერატურაა 33-35°. მინერალური წყალი კურნავს შემდეგ დაავადებებს: კიდურების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გულისა და სისხლძარღვების, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობის, ენდოკრინული სისტემის, გინეკოლოგიურ დაავადებებს.

წყალტუბოში აგრეთვე მკურნალობენ რევმატიზმით, პოლიომიელიტით და ცერებრალური დამბლებით დაავადებულები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გვხვდება სხვადასხვა მინერალური რესურსი. ბუნებრივი არქიტექტურით გამოირჩევა „პრომეთეს“ მღვიმე, დეკორაციებად წარმოდგენილი სტალაქტიდები და სტალაგნატები. აქ 16 ურთიერთგანსხვავებულ დარბაზს ქმნის: მღვიმეებში მუდმივი ტემპერატურა 14-16 გრადუსია. „პრომეთეს“ მღვიმეში შესაძლებელია ნავებით გასეირნება. ბალნეო თავისებურებებთან ერთად სამკურნალოდ გამოიყენება კარსტული მღვიმეების „სათაფლისა“ და „პრომეთეს“ მიკროკლიმატი. სათაფლის ნაკრძალი გამოირჩევა თავისი ისტორიითა და სილამაზით.

უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. გარდა დაცული ტერიტორიებისა, მღვიმეებისა, ასევე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ისტორიული ძეგლები: თამარის ციხე დარბაზი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის უძველესი ეკლესია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ასევე გიორგი ახვლედიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები. დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი „ოტიას ეზო“.

წყალტუბო, ასევე, ცნობილია სამთო წიაღისეული სიმდიდრეებით. მათგან აღსანიშნავია სამრეწველო მნიშვნელობის ბენტონიტური თიხა, მუნიციპალიტეტში გვხვდება კირქვებისა და გრანიტის საბადოები, სააგურე თიხა. პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

დემოგრაფია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 49,7 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 10%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 20%-ია, ხოლო 80% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 11%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (11%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 71,0 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 5%-ით და მიაღწია 3 021 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 1%-ით (11,981კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 67%. 2018 წლის მონაცემებით

მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 7%-ია და 5%-იანი კლებით ხასიათდება (2015 - 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 17%-იანი კლება შეინიშნება. კლებადი მაჩვენებელია დამამუშავებელ მრეწველობაშიც (-13%). არასტაბილური ზრდით ხასიათდება მშენებლობა (10%) და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 6% მოდის.

მოსახლეობის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ქართველები 97,5%, ეროვნული უმცირესობა 2,5%. ასევე, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გამო 1993 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 5,754 იძულებით გადაადგილებული პირია აფხაზეთიდან.

2014-2017 წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან შედარებით მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის კლება გაცილებით მაღალია ქალაქში, სადაც კლების მაჩვენებელი 30%-ზე მეტია, ვიდრე მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი 15%-ით განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, 34%-ითაა შემცირებული, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ბუნებრივი კლების და მეტწილად მიგრაციული პროცესებით. მოსახლეობის რაოდენობის კლების ტენდენციის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ძირითადად დასაქმების პრობლემით არის გამოწვეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახების საკმაოდ მაღალი რაოდენობა პრაქტიკულად გადასულია საცხოვრებლად დედაქალაქში (უმეტესად ახალგაზრდები), ძირითადი ნაწილი კი საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მეორე, უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი რეგიონის ძირითადი ნაწილის მეწყერულ და დატბორვის ზონაში მდებარეობის საკითხი.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და ტურიზმს. მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის 42% მრეწველობაზე მოდის, 20% - სოფლის მეურნეობაზე, 15% - ვაჭრობაზე, 10% - მშენებლობის დარგზე, 6% - ტურიზმზე, 4% - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ოფიციალური სტატისტიკის თანახმად რეგისტრირებულია 6,446 ბიზნეს სუბიექტი, მათ შორის მოქმედია 1,614.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად რეგისტრირებულია 4,300, მათ შორის მოქმედია 2,109 საწარმო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით, ნაწილდება შემდეგნაირად:

სექცია №	სექციის დასახელება	სულ	მ.შ აქტიური
----------	--------------------	-----	-------------

1	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	67	20
2	თევზჭერა, მეთევზეობა	3	1
3	სამთომოპოვებითი მრეწველობა	36	16
4	დამამუშავებელი მრეწველობა	260	119
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	10	4
6	მშენებლობა	79	32
7	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1071	535
8	სასტუმროები და რესტორნები	100	53
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	213	112
10	საფინანსო საქმიანობა	28	13
11	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	123	69
12	განათლება	13	5
13	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	57	29
14	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	86	44
15	საქმიანობა უცნობია	4300	562

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2018 წელს 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, სოფლის მეურნეობა/ნადირობა და სატყეო მეურნეობა, ასევე დარგობრივ ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასტუმროები და რესტორნები.

სოფლის მეურნეობა - მუნიციპალიტეტში აღირიცხება 29,000 ჰა სავარგული, მათ შორის სახნავი 13,2 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები 2,6 ათასი ჰექტარი და საძოვარი 13,1 ათასი ჰექტარი. აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 13,000 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა.

მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქუთაისთან და მისი კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, როგორც მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებისათვის, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის. ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების 2018 წლის მაჩვენებლები მოცემულია დანართში #1.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით სოფლის მეურნეობაა, რასაც ხელს უწყობს ნაყოფიერი ნიადაგი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში წარმოადგენს ბოსტნეულ-ბაღჩეული და მწვანე-ლეული კულტურები ძირითადი საწარმოო ბაზას. სასათბურე მეურნეობით დაკავებულია ფერმერული მეურნეობების 90%, მათი დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდში

ორიენტირებულია მწვანე ლეული კულტურების (ძირითადად ცერეცო) წარმოებაზე, რომელიც ჩრდილოეთ ქვეყნებში ექსპორტზე გადის, წარმოებული პროდუქციის დიდი რაოდენობის და ბაზრის არასტაბილურობის გამო ხშირ შემთხვევებში მისი ფასი თვითღირებულებაზე ბევრად დაბალია, რაც მწარმოებლის ეკონომიკურ შემოსავალზე მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს, სათბურების დივერსიფიცირება ზამთრის პერიოდში და მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა (გათბობა, სამაცივრო დანადგარები) საშუალებას მისცემს ფერმერს აწარმოოს ადგილობრივი ბაზრისათვის მოთხოვნადი პროდუქცია (ბოსტნეული, სალათები, რომელთა იმპორტირება ზამთრის პერიოდში ხდება ქვეყანაში და საკმაოდ მოთხოვნადია.

სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მწვანე ლეისა და ბოსტნეულის მწარმოებელი კომპანია „ჰერბია“, რომელიც ბაზარს ეკოლოგიურად სუფთა უსასუქო პროდუქციას აწვდის. კომპანია ფლობს „Global Gap“ სერთიფიკატს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოყვანილ პროდუქციას მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი გზა ხსნილი აქვს. დღესდღეობით კომპანია წელიწადში 15-მდე სახეობის 500 ტონა პროდუქციას აწარმოებს, მასში დაახლოებით 80 ადამიანია დასაქმებული (ძირითად ადგილობრივი მოსახლეობა) და საქართველოში შეფუთული მწვანე ლეის ბაზრის 95% უჭირავს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები გარდა მებოსტნეობისა და მესიმინდობისა, არის მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და თევზის წარმოება. მუნიციპალიტეტში სულ ცხრა სასატბორე მეურნეობაა, მათ შორის მოქმედია ორი, რომელთა საერთო ფართობი 120 ჰექტარია. გასულ წელს წარმოებული იქნა 78 ტონა თევზი.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

- მუნიციპალიტეტში დაურეგისტრირებელია საკუთრებაში არსებული მიწების 50%, რაც ხელს უშლის სრულყოფილი ბაზის შექმნას;
- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობა, გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევა. მიწების გამოკვება ხდება კარტოგრამის გარეშე, ამიტომ ნიადაგები განიცდიან სხვადასხვა ქიმიური ელემენტების შიმშილს, რაც ამცირებს მოსავლიანობას;
- სანერგე და სათესლე მასალების საცდელი სადგურის არარსებობის გამო მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია ხარისხიანი სარგავი და სათესლე მასალა;
- ამორტიზებული ჩაის პლანტაციები, რომელთა ჩანაცვლების შემთხვევაში გამოთავისუფლდება 700 ჰა ზე მეტი მიწის ფართობი სხვა კულტურების საწარმოებლად;
- პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მინიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამამუშავდება სხვა რეგიონებში;

- ირიგაცია ესაჭიროება 6000 ჰა-მდე სახნავ ფართობს, რეაბილიტირებულია მხოლოდ მაგისტრალური არხები, შიდა ქსელების უმოქმედობის გამო ვერ ხერხდება მათი გასარწყავიანება;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულვებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.
- ადგილობრივი ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უცხოური წარმოების სათესი მასალებით, რომელზეც ხელმისაწვდომობა მოსახლეობის მხრიდან დაბალია. ითესება შეუმოწმებელი დაბალი ხარისხის სათესლე მასალები, შესაბამისად დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საექსპორტოდ იწარმოება მხოლოდ მწვანილი, მაშინ როცა შეიძლება ექსპორტს ასევე დაექვემდებაროს ჩაის პროდუქცია, ხმელი სუნელი, მშრალი ხილი და თევზი;
- მუნიციპალიტეტში ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევა. ნიადაგის განოყიერება ხდება ქაოტურად, რის გამოც ნიადაგი განიცდის სხვადასხვა ელემენტების ნაკლებობას. მიზანშეწონილია სახელმწიფოს დახმარებით ნიადაგს ჩაუტარდეს აგროქიმიური გამოკვლევები;
- პროდუქტიულობა ასევე დაბალია მეცხოველეობის დარგში, რადგან არ არის სათანადო საკვები ბაზა, არ ხდება სამოვრების გაკულტურება, ჯიშიანი პირუტყვის შემოყვანა, ხელოვნური დათესვლა. მიზანშეწონილია ხელოვნური დათესვლის მინი-სადგურის მოწყობა და მეცხოველეობის რეპროდუქტორის შექმნა, საიდანაც შესაძლებლობა ექნებათ ფერმერებს შეიძინონ ჯიშიანი პირუტყვი;
- გასულ წელს მოხდა მდინარე რიონზე მდებარე სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის განახლება და მაგისტრალური ქსელის მოწყობა, საიდანაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებს მიეწოდება სარწყავი წყალი. მიუხედავად ამისა, ვერ ხდება სოფლების მთლიანად წყლით უზრუნველყოფა, ვინაიდან მოუწესრიგებელია შიდა სარწყავი ქსელი, რის გამოც ფერხდება წყლის მიწოდება მცენარემდე. საჭიროა მოწესრიგდეს შიდა სამეურნეო სარწყავი სისტემების ქსელი სახელმწიფოს დახმარებითა და ფერმერების თანამონაწილეობით;
- სოფლის მეურნეობის დარგებიდან მუნიციპალიტეტში ჩაის კულტურიდან შემოსავალი გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პროდუქციის შემოსავლის 51%-ს შეადგენდა. დღეის მდგომარეობით შენარჩუნებულია 726 ჰა ჩაის პლანტაცია, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაა. აქედან ექსპლოატაციისთვის ვარგისია 32 ჰექტარი, აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით, რომელიც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, შესაძლებელია 307 ჰა ჩაის პლანტაციის ეტაპობრივად გამოყვანა და პარალელურად ჩაის გადამამუშავებელი მიკრო ფაბრიკის გადაიარაღება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ამ დარგის რეაბილიტაცია შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს,

ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრას, აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და გაზრდის მათ შემოსავალს.

ტურიზმი და მომსახურების სფერო - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დიდი რესურსია ტურიზმის განვითარებისათვის, რასაც თავისმხრივ ხელს უწყობს უნიკალური სამკურნალო წყლები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კეთილმოწყობილი კარსტული მღვიმეები და ისტორიული ძეგლები. ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული რესურსის სრული გამოყენება, ინფრასტრუქტურის სრული კეთილმოწყობით, რაც თავის მხრივ ინტერესს გააჩენს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არსებული რესურსის გათვალისწინებით კი გააჩნია მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა. ესენია: ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი. სამკურნალო ტურიზმის კუთხით წყალტუბო მსოფლიო დონის კურორტია, იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით, რომელთაგან აღსანიშნავია თერმულ-რადონული წყლები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს სეზონურ კურორტს, ეს არის კურორტი წელიწადის 12 თვის განმავლობაში.

ტურისტების რაოდენობის ზრდამ ბიძგი მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ჰოსტელები სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რის გამოც მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილებისაგან დაცარიელებული და ამ ეტაპზე უსარგებლო სანატორიუმების გასხვისება და ინვესტორების მოზიდვა. ჯერ-ჯერობით ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებია სანატორიუმების: „მეშახტის“, „ივერიის“ „ცისკარის“ პირობებიანი პირადპირი განკარგვის წესით პრივატიზება, რაც ითვალისწინებს მაღალკომფორტული სასტუმროების მოწყობას, ეს კი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 12 სასტუმრო და 12 საოჯახო ტიპის სასტუმრო, რის შედეგადაც ქალაქს შეუძლია ერთდროულად მიიღოს ათასზე მეტი სტუმარი. ასევე მიმდინარეობს დამატებით ექვსი სასტუმროს მშენებლობა. 2019 წლის პირველი ორი კვარტალის მონაცემებით ქალაქს ესტუმრა 120,420 ტურისტი. უმეტესობა ტურისტებისა წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ვიზიტორებს.

შედარებით მცირეა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი პროცედურების მიღების მიზნით ჩამოსული გრძელვადიანი ტურისტების რაოდენობა. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ კურორტის ნაკლები ცნობადობა და პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

კურორტი ნაკლებად ცნობილია სამედიცინო წრეებშიც. ქალაქში არ ტარდება სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორცაა სამედიცინო კონფერენციები და ფორუმები.

კვალიფიციური სპეციალისტებისა და მომსახურე პერსონალის დეფიციტს განიცდიან მოქმედი და ახალგაზსნილი სასტუმროები. ქალაქში არ არის ტურისტული კომპანიები და ადგილობრივი გიდები, შესაბამისად არ არსებობს ორგანიზებული ტურები და მოქმედი სასტუმროები დამოუკიდებლად ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებებისა და გიდების დაქირავებას.

ქალაქში ცოტაა გასართობი ცენტრები ბავშვებისთვის, ღარიბია ადგილობრივი სპორტული ინფრასტრუქტურა, არ არის სუვენირების მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, კინოთეატრი, შესაბამისად დეფიციტია ღია კულტურული ღონისძიებების, რომლებსაც დაესწრობდნენ ქალაქის სტუმრები. მიუხედავად იმისა რომ წყალტუბო მოიაზრება ოთხივე სეზონის კურორტად დამსვენებელთა ძირითადი ნაკადი მაინც მოდის ზაფხულის სეზონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შემუშავდეს ქალაქის განვითარების ერთიანი სტრატეგია, რომელიც აამაღლებს ქალაქის ცნობადობის ამაღლებას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთოშორისო ტურისტულ გამოფენებში აქტიური მონაწილეობით, ინფო-მედია და პრეს-ტურების ორგანიზებას, ადგილობრივ მეწარმეებთან აქტიურ მუშაობას, რათა ქალაქში განვითარდეს მომსახურების ხარისხი, ტურისტულ ობიექტებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის მორგებას მის ძირითად მიმართულებაზე, რომელიცაა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფას შშმ პირებისთვის, ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავებასა და განვითარებას. ქალაქს გააჩნია პოტენციალი, რომ განვითარდეს ისეთი ტურისტული მიმართულებები როგორცაა: ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი, სპორტული და გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სხვა.

ტურისტული მიმზიდველობის კუთხით ქალაქ წყალტუბოში მოწყობილია ხელოვნურად შექმნილი ე.წ „ცივი ტბის“ ტერიტორია. ტბაზე მოწყობილია სანაოსნო ინფრასტრუქტურა, საზაფხულო სეზონზე ფუნციონირებს ორი აუზი და რესტორანი. ქალაქში ფუნციონირებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი”, საკონცერტო დარბაზი „ივერია”, კაფეები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება მუნიციპალიტეტს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ქალაქ წყალტუბოში განახორციელა თორმეტი

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 49,068,161 ლარს.

საკმაოდ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონული განვითარების ფონდისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. ამ ეტაპზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საბაზისო ინფრასტრუქტურა: საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათება, სასმელი წყლის ქსელი, საბავშვო ბაღები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, შეიძლება ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მიუხედავად ამისა, პრობლემები ამ მიმართულებებით კვლავაც რჩება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის სტრატეგია მომავალი წლებისათვის უცვლელია და ორიენტირებულია ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის პროცესში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალება მისცა მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განხორციელებინათ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ასევე თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

ასევე, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია 2019 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების განხორციელება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 47 სოფელში მოხდა სოფლის განვითარებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა ხმათა უმრავლესობით და დღეის მდგომარეობით მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით არჩეული პრიორიტეტის განხორციელება დასრულებულია. პროგრამების ჩამონათვალი მოცემულია დანართ #2-ში.

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელშიც ასახულია ყველა ის საკითხი, რომლებიც პრიორიტეტულია მოსახლეობისათვის და საშუალოვადიან პერსპექტივაში მათი რეალიზაცია მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ინფრასტრუქტურული პროექტები შეძლებისდაგვარად შერჩეული და შედგენილია SWOT ანალიზზე დაყრდნობით, რომლებიც სრულად შეესაბამება რეგიონის სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს და ასახავს მოსახლეობის მოთხოვნილებებს ამ მიმართებით არსებული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე რგფ-ის მიერ ყოველწლიურად გამოიყოფა დაფინანსება, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების თითქმის 90% საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ხმარდება, აღნიშნულის გათვალისწინებით მუშავდება ისეთი პროექტები, რომლებიც ამ მიმართებით საშუალოვადიან პერიოდში არსებული პრობლემების გადაწყვეტისკენაა მიმართული. საშუალოვადიან პერიოდში (2020-2023 წლები) საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით მომზადებულია საპროექტო წინადადებები და მზადდება საპროექტო დოკუმენტაციები, რომლებიც შეტანილი იქნება 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში.

ქ. წყალტუბოში სასმელი წყალი მიეწოდება მოსახლეობას 24 საათიანი გრაფიკით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სასმელი წყლის სისტემები მოწყობილი და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის 20 - ზე მეტ სოფელში. ამ მიმართებით ჩატარებული მასშტაბური სამუშაოების მიუხედავად მუნიციპალიტეტის სოფლებში, განსაკუთრებით ზედა ზონაში, კვლავ მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა და ამ მიმართებით საშუალოვადიან პერიოდში დამატებითი ღონისძიებები იქნება გატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

საკანალიზაციო ქსელი არ არის მოწყობილი ქალაქის ათეულობით ქუჩაზე, რაც ქალაქის მთლიანი მოსახლეობის თითქმის 50%-ია. საკანალიზაციო ქსელის არ არსებობა მოსახლეობას უქმნის გარკვეულ პრობლემებს, ადგილი აქვს ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებში ანტისანიტარიის კერების წარმოქმნისა და სანიაღვრე ფეკალური მასების ჩადინების შემთხვევებს. ასევე ანალოგიური პრობლემის წინაშე დგებიან ქალაქში სამკურნალოდ ჩამოსული დამსვენებლები და უცხოელი ტურისტები.

საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსაწესრიგებელია სხვადასხვა დასახლებებში არსებული ღვარსადენ-კანალიზაციის არხები და ქსელები. როგორც ანალიზი გვიჩვენებს საშუალოვადიან პერიოდში აუცილებლობა მოითხოვს გაიზარდოს დაფინანსება და სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობისათვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდება, მისი რაციონალური გამოყენება და მოხმარება. უახლოეს პერიოდში დასრულდება წყალტუბოს გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც მგფ-ის მიერაა დაფინანსებული. პროექტის ღირებულება 8,5 მლნ ლარზე მეტია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მაშველი სარწყავი არხის და მასთან დაკავშირებული სარწყავი არხების შიდა ქსელი 300 კმ-ია. აღნიშნულში შედის როგორც მაგისტრალური არხები, ასევე პირველი და მეორე რიგის არხები. სარწყავი არხების რეაბილიტაციას, გაწმენდას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მელიორაციის სამმართველო.

გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის 30-ზე მეტი სოფელი. ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილი სოფლები ყუმისთავი, ცხუნკური, მექვენა, ვანისჭალა, დერჩი, ბენტქოულა, ქვედა და ზედა ონჭეიში, ოფურჩხეთი, ჯიმასტარო, გუმათი, ჟონეთი და ნამოხვანი. მათი გაზიფიცირება მოხდება საშუალოვადიან პერიოდში. სხვა სახის ინფორმაცია გაზიფიცირების მასშტაბების შესახებ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

მუნიციპალიტეტის სოფლების 75%-ში გარე განათება მოწყობილია.

მუნიციპალურ საკუთრებაში მუნიციპალიტეტს სატრანსპორტო საშუალებები არ გააჩნია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და მუნიციპალიტეტის სოფლებში სს „შევარდენი“ და შპს „სხივი.“

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა - წყალტუბოს ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბაზე“ მოწყობილია სადრენაჟე სისტემები, გარე განათებები, საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკები, გადასასვლელი ხიდები, საჩოგბურთო მოედანი, დასასვენებელი სკამები, კვების ობიექტები, გასართობი ატრაქციონები. „ცივი ტბაზე“ გახსნილია საცურაო აუზი. მ/ წლის სექტემბერში დასრულდა ცენტრალურ პარკში „მოცეკვავე შადრევნის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 1.6 მლნ ლარია.

ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ გამწვანება - კეთილმოწყობის სამუშაოები ამ ეტაპზეც გრძელდება და საშუალოვადიან პერიოდში ამ მიმართებით დამატებითი ღონისძიებები იქნება გატარებული იმისათვის, რათა ეს ობიექტები სრულად შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს და ხელი შეეწყოს ქ. წყალტუბოს ტურისტული პოტენციალის კიდევ უფრო ამაღლებას.

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ამბულატორია, 2 პოლიკლინიკა და ერთი სამედიცინო ცენტრი. პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილ პირთა მასშტაბური რაოდენობა, რომელთაც არ გააჩნიათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, მუნიციპალიტეტს 12 ოჯახი გაყვანილი ყავს ქირით, მაგრამ დანარჩენი 60 ოჯახი ცხოვრობს ნათესავებისა და ახლობლებს შეხიზნული, არა აქვთ სოციალური საარსებო შემწეობები, არ არიან დასაქმებულები. აქვთ უმძიმესი სოციალური მდგომარეობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სასწრაფო სამედიცინო სამსახური ემსახურება სამი სპეცმანქანით, რაც მუნიციპალიტეტის სიდიდის გათვალისწინებით, რომელიც აერთიანებს ქალაქ წყალტუბოს და 47 სოფელს, სრულიად არასაკმარისია. განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა მაღალმთიანი რეგიონის სოფლებისათვის, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია საშუალოდ 70 კმ-ით. ამას ისიც ემატება, რომ აღნიშნული მიმართულებით საავტომობილო გზის დიდი ნაწილი ამორტიზებულია. ყველაზე ეფექტური პრობლემის გადასაჭრელად იქნება სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ერთი ბრიგადა განთავსდეს მაღალმთიანი რეგიონის ოთხი ადმინისტრაციული ერთეულიდან ერთ-ერთში.

ასევე, სასწრაფო სამედიცინო სამსახურს წლების განმავლობაში არ გააჩნდა შესაბამისი ფართი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქალაქ წყალტუბოში, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფართი სასწრაფო სამედიცინო სამსახურისათვის შენობის მშენებლობისთვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებს, დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას, გაცემის პროცედურასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამედიცინო თანადაფინანსების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ონკოლიგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მაღალი პროცენტით მომართვიანობა, გასულ წელს ქიმიო და სხივური თერაპიებისათვის თანადაფინანსების სახით წელიწადში ორჯერ გამოვყავით ფულადი სახსრები, თუმცა ამ მიმართულებამ ოდნავადაც არ შეამსუბუქა მდგომარეობა, აღნიშნული დაავადების მქონე ბენეფიციარები კვლავ რისკის ქვეშ რჩებიან, ვერ ახერხებენ დარჩენილი 50% გადახდას, ასევე ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენას. რაც შეეხება ენდემური ტიპის დაავადებებს, მისი გახშირებულ შემთხვევები მუნიციპალიტეტში არ აღინიშნება.

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის საშუალო და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში, რაზეც ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობს აქტიურად და ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საბავშვო ბაღების რიცხვი 12-დან გაიზარდა 18-მდე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ოთხი საბავშვო ბაღი მდებარეობს ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო 19 სოფლის ტერიტორიაზე), ამასთან, წინა წლებთან შედარებით აღსაზრდელთა რაოდენობა გაზრდილია 20%.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ქალაქ წყალტუბოში ფუნქციონირებს ოთხი საბავშვო ბაღი, რესურსიდან და მომართვიანობიდან გამომდინარე, აუცილებელია დამატებით ერთი ბაღის აშენება ან მოწყობა, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ გამოხატულ ინტერესს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ლტოლვილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობას. დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთი გამოყოფილია და უახლოეს პერიოდში დაიწყება საბავშვო ბაღის მშენებლობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 42 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის 2 კერძოა. 30 - საშუალო საფეხურის 12- საბაზო საფეხურის ხოლო, ერთი მათგანი (მექვენის) საჯარო სკოლა მოსწავლის არარსებობის გამო დროებით არ ფუნქციონირებს. ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს 6 სკოლა (ზემოხსენებული- 2 კერძო და 4 საჯარო სკოლა) სკოლების რეაბილიტაცია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული თითქმის ყველა სკოლა საჭიროებს ნაწილობრივ რეაბილიტაციას. მათ, შორის გადაუდებელი საჭიროებაა სოფელ გუმბრინის, სოფელ ყუმისთავის, სოფელ საყულის, სოფელ დერჩის საჯარო სკოლების შენობების აღდგენა-შეკეთება. სკოლის შენობების გათბობა მოწესრიგებულია - 28 მათგანი სათბობად იყენებს შეშას, 8 - თბება ბუნებრივ გაზზე , 2 - ქვანახშირზე და 1 - სკოლა სათბობად იყენებს ელექტრო- ენერჯიას. მოსწავლეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით - 5446 (მოსწავლე).

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იგეგმება და ნაწილობრივ რემონტდება მუნიციპალიტეტის სკოლები, შენობების სრული კეთილმოწყობა სამწუხაროდ შორეული მიზანია. შესაბამისად განახლებას საჭიროებს ციფრულ - კომპიუტერული ტექნიკის ბაზა, ინტერნეტის ხარისხის გაზრდას, ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინების თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვას, ასევე მწირია სასწავლო მატერიალური რესურსები (თვალსაჩინოებები) და ბიბლიოთეკათა უმრავლესობა დიდი ხანია არ განახლებულა. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის აუცილებელია, სკოლებში თანამედროვე სპორტული დარბაზებისა და ღია სპორტული მოედნების მოწყობა, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიყენებენ თანამედროვე სპორტულ ინვენტარს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის - 733 პედაგოგი აქედან, 204 პრაქტიკოსი 452 უფროსი; 67 წამყვანი; 10 მენტორი. პედაგოგიური დეფიციტი შეინიშნება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის სკოლებში (საჩხეური, დღნორისა, დერჩი). აღნიშნული სკოლები მოშორებულია ცენტრიდან დაახლოებით 80კმ-ით. ამასთან, თითოეული მათგანი მცირეკონტინგენტიანია და გამომდინარე აღნიშნულიდან სასწავლო დისციპლინებში (ბიოლოგია, ინგლისური, ქიმია, ფიზიკა) წარმოიქმნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომლის აღმოსაფხვრელად სამინისტროს დამატებით ძალისხმევა სჭირდება ყოველწლიურად.

პროფესიული ორიენტაცია: საშუალო სკოლა დამთავრებულთა დიდი უმეტესობა დაახლოებით - 60% სწავლის გაგრძელებას გეგმავს და ცდილობს უმაღლეს სასწავლებელში, დაახლოებით 20% პროფესიული სასწავლებელში, დანარჩენი მოსწავლეებისა სკოლის შემდეგ განათლების მიღმა რჩება. მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების კვლევისას (გამოყენებული იყო - ჰოლანდის თვითსაკვლევი), ასევე განხორციელდა მე-9 და მე-11 კლასელ მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა „ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში“ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ირჩევდა და დღესაც ირჩევს ე.წ. მოდურ - (იურისტი, ეკონომისტი) სტერეოტიპულ (ექიმი, პედაგოგი, ფარმაცევტი) მაღალანაზღაურებად (სურთ გახდნენ ბიზნესმენები, ადვოკატები (იურისტი, ეკონომისტი) პროფესიებს. მაშინ როცა რეგიონში არსებულ შრომის ბაზარზე მოთხოვნაა

შემდეგი პროფესიების წარმომადგენლებზე: აგრარული მიმართულების ყველა დისციპლინა, ვეტერინარი, მეზღვე, ლანდშაპტის დიზაინერი, მასაჟისტი, ექთნის თანაშემწე (მომვლელი), მზარეული, სარესტორნო და სასტუმრო საქმის მწარმოებელი. თუკი, ამ უკანასკნელ პრობლემას განვიხილავთ სკოლაში დასაქმებულ პიროვნებათა ჭრილში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მხოლოდ 5 სკოლას ემსახურება ინდივიდუალური სკოლის ექიმი, მივიჩნევთ, რომ საჭიროა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავდეს კვალიფიციური ფსიქოლოგი და მედიკოსი.

კულტურისა და სპორტის სერვისები - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების რაოდენობა აღემატება 62-ს. კულტურის დაწესებულებებს შორის ფუნქციონირებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: სათაფლიის ნაკრძალი, სათაფლიის მღვიმე, პრომეთეს მღვიმე, თეთრი მღვიმე, გეგუთის ციხე დარბაზი, საკონცერტო დარბაზი „ივერია“, ააიპ „კულტურის ცენტრი“, ააიპ „სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება“, ააიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებულია სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებლები. ასევე არის მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, 36 სოფლის ბიბლიოთეკა, 9 სოფლის კლუბი, ანსამბლი "ნადური" და ანსამბლი "სიონი". წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სამი მოქმედი მუზეუმი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სპორტს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული დაწესებულებები:

- ✓ შპს საფეხბურთო კლუბი „სამგურალი“;
- ✓ ა.ა.ი.პ „არენა“
- ✓ ა.ა.ი.პ. საკალათბურთო კლუბი „წყალტუბო“
- ✓ ა.ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სპორტული კლუბების გაერთიანება“.

მუნიციპალიტეტი სპორტის განვითარების კუთხით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფინანსებს თითოეულ სპორტულ დაწესებულებებს და მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. წყალტუბოში ამ ეტაპზე არსებული სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურა საკმარისია აღნიშნული სფეროების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თუმცა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“-ში არსებობს პრობლემები, რომლებიც უახლოეს პერიოდში მოგვარებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

2.6 გარემოს დაცვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი, შენაკადებით, მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. რეგიონის ძირითადი

მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა.

2004 წლის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით ტყეს უჭირავს 25 000 ჰა ფართობი. მუნიციპალიტეტში არის სამრეწველო, სუბალპური, ჭალისპირა და დაცული ტერიტორიის (სათაფლიის ნაკრძალი) ტყეები.

ბუნებრივი საფრთხეებიდან ადმინისტრაციული ერთეულისათვის სახასიათოა ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, მდინარის ნაპირების ეროზია, მიწისძვრა და ნაწილობრივ გვალვა. მუნიციპალიტეტის ზედა ზონებში საფრთხეს ქმნის მეწყერული მოვლენები, ნაპირების წარეცხვა (მდინარე რიონის შუა წელში და ქვედა ზონებში) და ძლიერი ქარი. ყველა ჩამოთვლილი მოვლენა ძირითადად საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას (გზებს და ხიდებს), სახნავ-სათეს და სათიბ-სამოვრებს.

ბუნებრივ საფრთხეებს ქმნის ძლიერი წვიმების შედეგად წარმოქმნილი ნიაღვარი, რაც სისტემატურად აზიანებს საგზაო ინფრასტრუქტურას და საცხოვრებელ სახლებს, რაზეც თვითმმართველობის მიერ ხდება დაუყოვნებლივი რეაგირება და ზარალის აღმოფხვრა.

დატბორვის და საკარმიდამოების ჩარეცხვა-ჩამოშლის განსაკუთრებული პრობლემა დგას შემდეგ სოფლებში: ჟონეთი, ზარათი, რიონი, სადაც აუცილებელია ნაპირსამაგრების მოწყობა. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2015-2017 წლებში, როცა მოეწყო 480 მ სიგრძის ნაპირსამაგრი, თუმცა აღნიშნული არასაკმარისია და საჭიროებს დამატებით 1 კმ-მდე ნაპირსამაგრის მოწყობას.

მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა, არ არის გამწმენდი ნაგებობა, შესაბამისად ნახშიარი წყლები ჩაედინება წყალსატევებში.

ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების“ სამსახური. მუნიციპალიტეტში ლიცენზირებული ნაგავსაყრელი არ არსებობს. ნარჩენების გატანა ხდება ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელზე, რომლის წლიური რაოდენობა შეადგენს 17,143 მ³. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება არალეგალური ნაგავსაყრელებიც. დასუფთავების სამსახური ემსახურება მოსახლეობის 53% (37,267 მოსახლე). ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 0.46 მ³.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ძირითადი გამოწვევა და საჭიროებებია:

ნაგავსაყრელების რაოდენობა და საჭიროება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ოფიციალურად ემსახურება „გეგუთის ნაგავსაყრელი“, სადაც ხდება საყოფაცხოვრებო მუნიციპალური ნარჩენის შეგროვება. მუნიციპალიტეტში დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე უმჯობესია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაკეთდეს სხვადასხვა სახის ნარჩენის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტი.

ამჟამად არსებული რესურსით ნაგავმზიდები ყოველდღიურ რეჟიმში ემსახურება მხოლოდ 3 ლოკაციას (ქ. წყალტუბო, ქვიტირი, გეგუთი), სადაც ხდება ყოველდღე ნარჩენების შეგროვება. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტს ესაჭიროება 1 ერთეული 23 კუბიანი ნაგავმზიდი, 1 ერთეული 7 კუბიანი ნაგავმზიდი, 2 ერთეული მცირე ზომის 4 კუბიანი ნაგავმზიდი, 1 ერთეული ქუჩების სარეცხი სპეციალური მანქანა და 150 ურნა.

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხელისუფლება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, რომელიც შედგება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია) ორგანოებისაგან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად. მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტში ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო სერვისები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოები:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახური;
- სახელმწიფო სერვისების მომსახურების სააგენტოს წყალტუბოს სამსახური;
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის წყალტუბოს რაიონული სამმართველო;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს წყალტუბოს მომსახურების ცენტრი;
- განათლების და მეცნიერების სამინისტროს წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო;
- წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისია;
- საქართველოს ეროვნული არქივის წყალტუბოს წარმომადგენლობა;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალაქ წყალტუბოში უახლოებს პერიოდში დაიწყება იუსტიციის სახლის მშენებლობა, სადაც „ერთი ფანჯრის პრინციპით“ თავმოყრილი იქნება იუსტიციის

სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებები, რაც კიდევ უფრო გაადვილებს ხელმისაწვდომობას სახელმწიფო სერვისებზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 15 652,0 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 98 % არის საკუთარი შემოსავლები, თუმცა წლის განმავლობაში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მცირე რაოდენობით დაფინანსების დამატებით გამოყოფა. 2019 წელთან მიმართებაში საკუთარი შემოსავლების ზრდა მოსალოდნელია დაახლოებით 18,1%-ით და 2020 წელს საპროგნოზოდ 15 482,0 ათას ლარს შეადგენს.

2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 15 582,0 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის დაახლოებით 29% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე სრულად მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტის მხოლოდ 6,4%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 13,1%, განათლების ხელშეწყობის მხრივ - 17,9%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის - 9,4%.

3. SWOT ანალიზი

ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზი, არსებული ვითარება, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც მოიცავს მთლიან ადგილობრივ არეალს და აღნიშნულით გამოვლენილ იქნა ეკონომიკის მამოძრავებლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკას და გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ საერთო ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების დროს. SWOT ანალიზი მომზადდა საჯარო, კერძო, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ● ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო აეროპორტის მდებარეობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გავლა; ● ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება-ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი; ● მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა; ● სოფლის მეურნეობის ზრდის ტენდენცია, აგროტურიზმის განვითარებისათვის სათანადო რესურსის არსებობა; ● მუნიციპალიტეტის 10 სოფლისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება და მათზე გავრცელებული საგადასახადო და სოციალური შეღავათები; ● მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესება; 	<ul style="list-style-type: none"> ● შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც იწვევს სამუშაო ძალის გადინებას მუნიციპალიტეტიდან; ● კომერციული კრედიტების სიძვირე და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა; ● ფართოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის არარსებობა საინვესტიციო შესაძლებლობებზე; ● მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია; ● ფაქტობრივი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები და დასაქმების მწირი შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის; ● პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა; ● გადამზადებული ადგილობრივი გიდების ნაკლებობა. ● საკანალიზაციის სისტემის მოუწყობლობა; ● უსახლკაროთა თავშესაფრის არარსებობა; ● სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობის ნაკლებობა. ● სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილობა. ● ნაგავსაყრელის დაურეგულირებლად გაჩენა (გასაკუთრებით

	<p>სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული მომსახურების სფეროში გადამზადებული ადამიანური რესურსების ნაკლებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი. • ტურისტების ზრდის ტენდენცია; • ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა; • ტურისტული მარშუტების განვითარება; • მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი მეტი სახელმწიფო პროგრამების არსებობა; • მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა; • კერძო და საჯარო სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დანერგვა. • სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი მოვლენები; • გარემოს დაბინძურების რისკები; • შრომისუნარიანი და პროდუქტული მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე; • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი.

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა

1. მიზანი 1:		ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა.			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:			მიზანი 9				
ამოცანა 1.1:		კულტურული, დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება/კეთილმოწყობა;										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		მოწყობილი კომფორტული გარემო დასვენებისათვის		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
					შუალედური	საბოლოო						
			წელი	2020		2022	2023					
			მაჩვენებელი									
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [€]	დაფინანსების წყარო				
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი	
								ოდენობა [€]	კოდი	ოდენობა [€]	ორგანიზაცია	
1.1.1	სკვერების, ფანჯატურების, ტრენაჟორებისა და ველობილიკის მოწყობა	მოწყობილია 3 სკვერი, მოწყობილია ტრენაჟორები, მოწყობილია ველობილიკი,		მუნიციპალიტეტის მერია		05.2020-08.2021	100,000	100,000	02 06 03			
ამოცანა 1.2:		ტურისტული სერვისების მრავალფეროვნების ხელშეწყობა;										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:		ტურისტებმა შესაძლებელია ისარგებლონ		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
					შუალედური	საბოლოო						
		წელი	2020		2022	2023						

		მაჩვენებელი					დაფინანსების წყარო				
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია	
1.2.1 ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შექმნა, საინფორმაციო-სარეკლამო მანათობელი ბილბორდების განთავსება წყალტუბოსა და იმერეთის ტურისტული რუკებით.	1.2.1.1 მოწყობილია ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მოზიდულია ტურისტები და ვიზიტორები. ტუროპერატორებთან დამყარებულია მჭიდრო კავშირები, განთავსებულია საინფორმაციო-სარეკლამო მანათობელი ბილბორდები, წყალტუბოსა და იმერეთის ტურისტული რუკებით 5 ლოკაციაზე		მუნიციპალიტეტის მერია	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	03,2020-01.2021	55,000	40 000	05 02 01 03	15 000		
ამოცანა 1.3:		ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აბრების მოწყობა									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი		მოწესრიგებულია	საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო						

1.3.1:		ტურისტების და ვიზიტორების მოძრაობა.	წელი	2020	შუალედური	2022	საბოლოო	2023					
			მაჩვენებელი										
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო					
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი	
				ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია						
1.3.1	ტურისტული მიმართულების მანიშნებლების მოწყობა და დამონტაჟება	1.3.1.1. მოწყობილი და დამონტაჟებულია ტურისტული მიმართულების მანიშნებლები 3 ლოკაციაზე .ადვილად მისაგნებია ტურისტული ობიექტები		მუნიციპალიტეტის მერია		03.2020-01.2021	15,000		05 02 01 03				
ამოცანა 1.4:		მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება.											
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:		ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შესახებ.		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო						
			წელი	2020	შუალედური	2022	საბოლოო	2023					
			მაჩვენებელი										
აქტივობა	აქტივობის შედეგის	დადასტურ	პასუხისმგებელი	პარტნიორი	შესრულებული	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო						

	ინდიკატორი	ების წყარო	ლი უწყება	ი უწყება	ბის ვადა	[[]]	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი	
							ოდენობა [[]]	კოდი	ოდენობა [[]]	ორგანიზაცია		
1.4.1	ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების მოწყობა. ბროშურა-გზამკვლევის, კომპაქტური რუკით დამზადება, საინვესტიციო გარემოს ვებ-გვერდის შექმნა. საიმიჯო ვიდეო-რგოლის შექმნა.	1.4.1.1	მოწყობილია გამოფენა-გაყიდვები სამჯერ რეალიზებულია ადგილობრივი ნაწარმი. დამზადებულია 100 ცალი ბროშურა-გზამკვლევი, კომპაქტური რუკით. შექმნილია საიმიჯო ვიდეო-რგოლი.	მუნიციპალიტეტის მერია		02.2020-08.2021	20,000		05 02 01 03			
ამოცანა 1.5:		ტურისტული ობიექტების, ადგილების ასახვა გუგლ რუკაზე										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:		მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტებისა და ობიექტების ინტერაქციული რუკა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
	წელი		2020	შუალედური	საბოლოო							
	მაჩვენებელი				2022	2023						
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [[]]	დაფინანსების წყარო		მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		დეფიციტი	
							ოდენობა [[]]	კოდი	ოდენობა [[]]	ორგანიზაცია		

1.5.1	ტურისტული ობიექტების, ადგილების ინვენტარიზაცია, მონიშვნა და საინფორმაციო მასალების განთავსება გუგლ რუკაზე	1.5.1.1	მონიშნულია ტურისტული ობიექტები, კატარბულია ინვენტარიზაცია, საინფორმაციო მასალები განთავსებულია გუგლ რუკაზე	მუნიციპალიტეტის მერია	03.2020-01.2021	3,000		05 02 01 03			
-------	---	---------	--	-----------------------	-----------------	-------	--	-------------	--	--	--

მიზანი 2:	ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს განვითარება არსებული რესურსების მართვითა და ადგილობრივი საინვესტიციო შესაძლებლობების ხელშეწყობით.	მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	მიზანი 8
------------------	--	--	----------

ამოცანა 2.1: ბიზნეს საკონსულტაციო/საინფორმაციო ცენტრის შექმნა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:			საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
	წელი	2020		2022	2023	
	მაჩვენებელი					

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [€]	დაფინანსების წყარო				
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [€]	კოდი	ოდენობა [€]	ორგანიზაცია	

2.1.1	ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის გახსნა.	გახსნილია საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ დამწყებ და არსებულ ბიზნესებს უწევს კონსულტაციას ახალი ბიზნესების ან არსებული ბიზნესების გაფართოების მიმართულებით სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე		მუნიციპალიტეტის მერია		02.2020-01.2021	10,000					
ამოცანა 2.2.		კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:			საბაზისო	სამიზნე			დადასტურების წყარო					
		წელი	2020	შუალედური	2022	საბოლოო	2023					
		მაჩვენებელი										
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [□]	დაფინანსების წყარო					
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი			

								ოდენობა [□]	კოდი	ოდენობა [□]	ორგანიზაცია	
2.2.1	მრგვალი მაგიდების და დისკუსიების დაგეგმვა და ორგანიზება	2.2.1.1	დაგეგმილია მრგვალი მაგიდების და დისკუსიების ორგანიზება თვეში ერთხელ, დამყარებულია მჭიდრო კავშირი კერძო და საჯარო სექტორებს შორის		მუნიციპალიტეტის მერია		02.2020-01.2021	1000				
ამოცანა 2.3.:		მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა საინფორმაციო ბაზის შექმნით საინვესტიციო შესაძლებლობებზე										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1:				საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
					შუალედური	საბოლოო						
		წელი	2020	2022	2023							
		მაჩვენებელი										
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [□]	დაფინანსების წყარო					
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი	
							ოდენობა [□]	კოდი	ოდენობა [□]	ორგანიზაცია		

<p>2.3.1</p>	<p>საინვესტიციო პაკეტების შექმნა პუბლიკაციების მომზადება. საინვესტიციო წინადადებების შემუშავება პოტენციური საინფორმაციო ბაზის შექმნა</p>	<p>2.3.1.1. შექმნილია საინვესტიციო პაკეტი .დაინტერესებულთა პოტენციური ინვესტორები. მომზადებულია პუბლიკაციები. შემუშავებულია საინვესტიციო წინადადებები პოტენციური ინვესტორისთვის. შემუშავებული საინფორმაციო ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.</p>		<p>მუნიციპალიტეტის მერია</p>		<p>03.2020-02.2021</p>	<p>10,000</p>					
--------------	--	--	--	------------------------------	--	------------------------	---------------	--	--	--	--	--

მიზანი 3:		ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა.		მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:			მიზანი 8						
		სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა											
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:			საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო							
				შუალედური	საბოლოო								
		წელი	2020	2022	2023								
		მაჩვენებელი											
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [€]	დაფინანსების წყარო				
									მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
								ოდენობა [€]	კოდი	ოდენობა [€]	ორგანიზაცია		
2.1.1	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალური დახმარება.		სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შექმნილია შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალური		მუნიციპალიტეტის მერია		02.2020-01.2021	20,000		06 02 03		06 02 05	

			დახმარება.										
ამოცანა 2.2.		შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებით უზრუნველყოფა პროგრამული დაფინანსებით.											
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:				საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო						
				წელი	2020	შუალედური	საბოლოო						
				მაჩვენებელი		2022	2023						
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [€]	დაფინანსების წყარო				დეფიციტი
									მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		
									ოდენობა [€]	კოდი	ოდენობა [€]	ორგანიზაცია	
2.2.1	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებით პროგრამული დაფინანსება.	2.2.1.1	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობები. ნაწილობრივ გაუმჯობესებულია მათი ცხოვრების მდგომარეობა.		მუნიციპალიტეტის მერია		02.2020-01.2021	100 000		06 02 06			

5. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მოხდა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

დანართი

დანართი #1

ერთწლიანი კულტურების წარმოება (2018 წელი, ათასი ტონა)

	საქართველო	იმერეთი
ხორბალი, სულ	107.1	-
მათ შორის:		
საშემოდგომო ხორბალი	100.1	-
საგაზაფხულო ხორბალი	7.0	-
ქერი, სულ	57.7	-
მათ შორის:		
საშემოდგომო ქერი	34.3	-
საგაზაფხულო ქერი	23.4	-
შვრია	4.7	-
სიმინდი	194.2	32.5
ლობიო	5.8	0.6
მზესუმზირა	3.0	-
კარტოფილი	237.5	-
ბოსტნეული, სულ	142.2	17.2
მათ შორის:		
კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი	18.5	-
მწვანილი	7.4	5.0
პომიდორი	51.7	5.7
კიტრი	33.0	5.0
მწვანე ლობიო	3.5	-
ბადრიჯანი	3.7	-
წიწაკა	5.8	0.3
ჭარხალი	2.1	-
სტაფილო	1.9	-
ხახვი ბოლქვად	8.9	-
ნიორი	4.6	-
დანარჩენი ბოსტნეული	1.1	-
ბაღჩეული, სულ	70.2	13.2
მათ შორის:		
საზამთრო	57.4	9.6
ნესვი	8.2	2.8
გოგრა	4.5	-
ერთწლიანი ბალახები თივად	9.2	-
მრავალწლიანი ბალახები თივად	49.9	-

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება
(2018 წელი, ათასი ტონა)

	საქართველო	იმერეთი
თესლოვანი ხილი	93.3	3.5
აქედან:		
ვაშლი	82.7	1.6
მსხალი	9.4	1.8
კომში	1.0	-
კურკოვანი ხილი	54.2	4.1
აქედან:		
ქლიავი, ჭანჭური, ღოდნაშო	9.5	0.5
ბალი, ალუბალი	4.4	0.4
გარგარი, ჭერამი	0.9	-
ატამი, ვაშლატამა	27.5	0.1
აქედან:		
ვაშლატამა	7.5	-
ტყემალი, ალუჩა	10.9	3.0
კაკლოვანი ხილი	23.1	1.9
აქედან:		
კაკალი	5.7	0.5
თხილი	17.0	1.4
სუბტროპიკული ხილი	16.0	1.6
აქედან:		
ხურმა, კარალიოკი	10.0	-
ლეღვი	1.4	-
ფეიხოა	1.3	-
კივი	1.3	-
ბროწეული	0.7	-
მუშმალა	0.7	-
თუთა	0.3	-
კენკროვანი ხილი	1.8	-
აქედან:		
მარწყვი, ხენდრო	1.2	-
ჟოლო	0.4	-
ყურძენი	259.9	31.5
მათ შორის:		
თეთრი ყურძენი	179.3	22.1
შავი ყურძენი	80.6	9.4
ციტრუსი	66.3	0.4

აქედან:		
მანდარინი	62.3	0.3
ფორთოხალი	1.6	0.0
ლიმონი	2.4	0.1
ჩაის ფოთოლი	1.7	0.1

დანართი #2.

N	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება
1	მუხიანი	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა	20000
2	ქვედა მესხეთი	სპორტული მოედნის მოწყობა	20000
3	ქვიტირი	ყოფილი დაწყებითი საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	20000
4	ზედა მესხეთი	გარე განათების მოწყობა შალამბერიძეების უბანში (გამსახურდიას ქუჩიდან პლატფორმამდე)	20000
5	სოფელი წყალტუბო	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	20000
6	ქვილიშორი	მზა ბეტონის შეძენა	16000
7	საყულია	გარე განათების ქსელის მოწყობა	20000
8	ოფშკვითი	გარე განათების ქსელის მოწყობა	20000
9	რიონი	მზა ბეტონის შეძენა.	20000
10	ზედა ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა.	10000
11	გეგუთი	სოფლის ცენტრში მოსაცდელის მოწყობა	12000
12	გეგუთი	მზა ბეტონის შეძენა	8000
13	პატრიკეთი	გარე განათების მოწყობა.	20000
14	ტყაჩირი	სოფლის ცენტრში სკვერის მოსაწყობად საჭირო მასალების შეძენა	20000
15	თერნალი	მზა ბეტონის შეძენა	16000
16	გვიშტიბი	სანიაღვრე არხის მოწყობა	20000
17	ბანოჯა	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია-მოწყობა	20000
18	გუმბრა	სკვერის მოწყობა.	20000
19	ხომული	გარე განათების მოწყობა.	20000
20	ფარცხანაყანევი	საბავშვო ბაღის, ამბულატორიის და ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობა.	20000
21	პირველი წყალტუბო	მზა ბეტონის შეძენა.	12000

22	გუბისწყალი	მზა ბეტონის შექმნა	16000
23	ცხუნკური	მზა ბეტონის შექმნა	16000
24	ყუმისთავი	გარე განათების მოწყობა	16000
25	ქვედა ჩუნეში	მზა ბეტონის შექმნა	16000
26	მეჩხერი	მზა ბეტონის შექმნა	10000
27	ზარათი	მზა ბეტონის შექმნა	12000
28	ოფურჩხეთი	გარე განათების ქსელის მოწყობა.	16000
29	გუმათი	მზა ბეტონის შექმნა	16000
30	უკანეთი	სასაფლაოს შემოღობვა	12000
31	მალლაკი	ბაღის შენობაში გათბობის სისტემის მოწყობა	20000
32	მიწაწითელი	სოფლის გზის შეკეთება	12000
33	ნოღა	მზა ბეტონის შექმნა.	10000
34	სორმონი	მზა ბეტონის შექმნა	12000
35	ჭოლევი	გარე განათება	10000
36	ნამოხვანი	ზედა ნამოხვანში გარე განათების მოწყობა.	10000
37	ჟონეთი	მზა ბეტონის შექმნა.	12000
38	ჯიმასტარო	მზა ბეტონის შექმნა	12000
39	ბენტეოულა	გარე განათების მოწყობა	3500
40	ბენტეოულა	სასმელი წყლის ქსელის და სათვე ნაგებობის მოწყობისათვის ავზის, მილების და სხვა საჭირო მასალების შესყიდვა	6500
41	ქვედა ონჭეიში	მზა ბეტონის შექმნა	10000
42	ვანისჭალა	სოფლის გზის რეაბილიტაცია	5000
43	ვანისჭალა	სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია- მოწყობა და ინვენტარის შექმნა	5000
44	მექვენა	გზის რეაბილიტაცია	10000
45	ზედა ონჭეიში	მდინარე რიონზე არსებული საცალფეხო ხიდის შეკეთება.	7000
46	ზედა ონჭეიში	სასმელი წყლის მილების შექმნა	3000
47	დერჩი	მზა ბეტონის შექმნა.	10000
48	ჭაშლეთი	მზა ბეტონის შექმნა.	8500
49	ჭაშლეთი	წყლის სათავე ნაგებობაზე რეზერუარების შექმნა	1500
50	ლახინდირსთავი	მზა ბეტონის შექმნა.	10000
51	საჩხეური	მზა ბეტონის შექმნა.	10000
52	დღნორისა	მზა ბეტონის შექმნა.	12000
		სულ:	704000.00

დანართი #3 ბიზნეს სტატისტიკა

დასახელება	თანამშრომელთა რაოდენობა	წლიური ბრუნვა ევროში
მცირე ბიზნესი	15- 50	7 მილიონამდე
საშუალო ბიზნესი	50 – 200	10 დან 30 მილიონამდე
მიკრო ბიზნესი (ინდივიდუალური მეწარმე)	1-14	1 მილიონი

ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები	ერთეული	მონაცემი
პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	138098.6
ბრუნვა	მლნ. ლარი	165,5
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	3403
დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	4112,0
დაქირავებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	ლარი	509,0
დამატებული ღირებულება	მლნ. ლარი	39,3
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	მლნ. ლარი	6,1